შპს ოთოქოჩ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 5

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძვლები 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 8
4. ამონაგები 9
5. პირდაპირი ხარჯები 9
6. საერთო და ადმინისტრაცული ხარჯები 10
7. ძირითადი საშუალებები 11
8. გასაყიდად გამიზნული აქტივები 12
9. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 12
10. სასესხო ვალდებულებები 13
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 13
12. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები 14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 14
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 15

შპს ოთოქოჩ ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	4	5,239,325	4,577,892
პირდაპირი ხარჯები	5	(3,221,423)	(2,750,731)
საერთო მოგება		**2,017,902**	**1,827,161**
პერსონალის შენახვის ხარჯები		(525,408)	(526,145)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(484,977)	(418,228)
საოპერაციო მოგება		**1,007,517**	**882,788**
ფინანსური ხარჯი		(1,578,473)	(1,416,426)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(3,655)	(72,676)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		8,104	(221,925)
წმინდა ზარალი		**(566,507)**	**(828,239)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(566,507)**	**(828,239)**

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ბერათ ეჯემიშ

7-21 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ოთოქოჩ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	9,373,975	8,387,604
		9,373,975	**8,387,604**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		560,553	423,875
გასაყიდად გამიზნული აქტივები	8	1,948,795	1,460,714
გადახდილი ავანსები		12,026	4,801
სავაჭრო მოთხოვნები		40,115	155,850
ფული და ფულის ექვივალენტები	9	199,548	142,881
		2,761,037	**2,188,121**
სულ აქტივები		**12,135,012**	**10,575,725**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		229,764	229,764
დაუფარავი ზარალი		(5,277,043)	(4,710,537)
		(5,047,279)	**(4,480,773)**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	7,236,665	6,583,168
		7,236,665	**6,583,168**
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	10	7,961,164	6,631,336
მიღებული ავანსები		484,246	438,612
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,485,913	1,356,004
საგადასახადო ვალდებულებები		14,303	47,378
		9,945,626	**8,473,330**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**12,135,012**	**10,575,725**

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ ზერათ ეჯემიშ

7-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ოთოქოჩ ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	**229,764**	**(3,940,197)**	**(3,710,433)**
		57,900	**57,900**
გასული პერიოდის კორექტირება		(828,239)	**(828,239)**
წლის მთლიანი სრული ზარალი			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**229,764**	**(4,710,536)**	**(4,480,772)**
			-
გასული პერიოდის კორექტირება		(566,507)	**(566,507)**
წლის მთლიანი სრული ზარალი			
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**229,764**	**(5,277,043)**	**(5,047,279)**

7-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ოთოქოჩ ჯორჯია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(566,507)	(281,078)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,230,156	1,236,093
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	662,489	(250,916)
დარიცხული პროცენტები	1,578,473	1,416,426
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი/(მოგება)	(8,104)	221,925
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	**2,896,507**	**2,342,450**
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:		
მარაგების შემცირება/(ზრდა)	(136,679)	(211,142)
გასაყიდად გამიზნული აქტივების შემცირება/(ზრდა)	(488,081)	(476,060)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	103,537	(90,807)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	88,173	(36,671)
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	**2,463,457**	**1,527,771**
მოგების გადასახადის გადახდა		
გადახდილი პროცენტი	(1,578,473)	(1,416,426)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	**884,985**	**111,345**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(3,286,089)	(1,621,054)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	407,072	722,741
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	**(2,879,017)**	(898,314)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილება		57,900
მიღებული სასესხო ვალდებულებები	2,069,047	723,652
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	**2,069,047**	**781,552**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	**75,014**	**(5,416)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	142,881	167,119
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(18,347)	(18,822)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**199,548**	**142,881**

7-21 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოთოქოჩ ჯორჯია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც საქართველოში დაარსდა 2016 წელს.

კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405132280. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, შოთა რუსთაველის გამზირი 37.

კომპანია შემოსავალს იღებს შემდეგი საქმიანობიდან: ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% მესაკუთრეს წარმოადგენს სააქციო საზოგადოება ოთოქოჩ ოთომოთივ თიჯარეთ ვე სანაი, 459231 /თურქეთი.

კომპანიის დირექტორია - ბერათ ეჯემიშ, 27125355594, U14992051, 01791017936 / თურქეთი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 9 ადამიანი.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტების (მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ბ) შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე - იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად, გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარებიც. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები - კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

დაბეგვრა - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

4. ამონაგები

კომპანია შემოსავალს იღებს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარიდან. ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი გრძელვადიანი იჯარიდან	3,613,165	2,890,610
შემოსავალი მოკლევადიანი იჯარიდან	602,879	722,741
ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებული	407,072	621,914
შემოსავლები	616,209	342,627
სხვა საოპერაციო შემოსავლები		
სულ ამონაგები	**5,239,325**	**4,577,892**

5. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სატრანსპორტო და დამხმარე საშუალებების ცვეთა	(1,226,715)	(948,918)
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	(813,570)	(603,232)
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	(478,784)	(553,280)
გაყიდული ავტომობილების თვითღირებულება	(393,860)	(356,667)
საგადასახადო ხარჯი	(107,186)	(88,306)
ავტოპარკის იჯარა	(82,262)	(73,483)
ლიცენზია	(80,294)	(55,076)
საწვავი	(15,909)	(33,252)
ადმინისტრაციული ჯარიმები	-	(11,168)
სხვა	(22,843)	(27,349)
სულ პირდაპირი ხარჯები	**(3,221,423)**	**(2,750,731)**

6. საერთო და ადმინისტრაცული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ოჯარის ხარჯი	(218,957)	(224,184)
საშუამავლო ხარჯი	(100,992)	(58,549)
საკონსულტაციო ხარჯი	(63,625)	(40,704)
საბანკო ხარჯი	(33,658)	(27,272)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(14,891)	(16,299)
საოფისე ხარჯი	(12,166)	(15,479)
საერთაშორისო ასოციაციების საწევროს ხარჯი	(10,875)	(8,779)
დასუფთავების ხარჯი	(8,510)	(7,955)
მარკეტინგული ხარჯი	(8,199)	(8,833)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,441)	(3,127)
დაცვის ხარჯი	(1,485)	(1,516)
სხვა საერთო ხარჯი	(8,178)	(5,531)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**(484,977)**	**(418,228)**

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
1 იანვარი 2023	11,893,567	94,540	56,885	12,044,992
შემოსვლა	1,615,339	5,715	-	1,621,054
გასვლა	(1,410,302)	-	-	(1,410,302)
31 დეკემბერი 2023	12,098,604	100,256	56,885	12,255,745
შემოსვლა	3,279,951	6,138	-	3,286,089
გასვლა	(1,733,030)	(754)	-	(1,733,785)
31 დეკემბერი 2024	13,645,525	105,639	56,885	13,808,049
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2023	(3,423,816)	(89,823)	(56,885)	(3,570,525)
წლის ცვეთა	(1,231,783)	(4,310)	-	(1,236,093)
გასული აქტივების ცვეთა	937,959	518	-	938,477
31 დეკემბერი 2023	(3,717,640)	(93,615)	(56,885)	(3,868,141)
წლის ცვეთა	(1,226,715)	(3,441)	-	(1,230,156)
გასული აქტივების ცვეთა	664,224	-	-	664,224
31 დეკემბერი 2024	(4,280,131)	(97,056)	(56,885)	(4,434,073)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერი	8,380,964	6,640	-	8,387,604
2024 წლის 31 დეკემბერი	9,365,393	8,583	-	9,373,975

8. გასაყიდად გამიზნული აქტივები

გასაყიდად გამიზნული აქტივები წარმოადგენს იმ მატერიალურ რესურსებს, რომელთა გამოყენება კომპანიის ძირითად საქმიანობაში აღარ არის დაგეგმილი და ისინი მომავალში განკუთვნილია გაყიდვისთვის. ასეთ აქტივებს სრულად შეადგენს ავტომობილები, რომლებიც თავდაპირველად გამოყენებული იყო სალიზინგო კონტრაქტების ფარგლებში. კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული ავტომობილები რჩება კომპანიის კონტროლის ქვეშ, თუმცა მათზე აღარ არსებობს ფუნქციური საჭიროება; შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივები, რაც ნიშნავს, რომ კომპანია მომავალში მათგან ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის გაყიდვის გზით.

9. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	143,838	17,894
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	55,460	121,111
ფული სალაროში	250	3,876
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**199,548**	**142,881**

10. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	740,445	414,305
GEL	99,740	219,516
USD	5,844,021	4,166,095
EUR		
დაკავშირებული მხარეები	-	-
GEL	-	-
USD	553,359	1,783,252
EUR		
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	**7,237,565**	**6,583,168**
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები		
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	6,877,161	5,983,000
GEL	21,498	3,530
USD	135,030	59,631
EUR		-
დაკავშირებული მხარეები	-	-
GEL	-	-
USD	357,756	-
EUR	568,820	585,175
დარიცხული პროცენტები		
სულ მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	**7,960,265**	**6,631,336**
სულ სასესხო ვალდებულებები	**15,197,830**	**13,214,504**

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,476,640	1,301,564
პერსონალის მიმართ ვალდებულება	9,273	54,440
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,485,913**	**1,356,004**

12. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციებისაგან. კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები და ჯარიმები.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოს შეუძლია კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საოპერაციო გარემო - კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, როგორიცაა არასტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარემო. მათ შორის ასევე მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი და საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში. ასევე ხშირად იცვლება საგადასახადო კოდექსი, რომელიც შესაბამისად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ისევე როგორც სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემო.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა შეინარჩუნოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა - ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	USD	EUR	GBP
საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი			
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753	3.4228
2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306	3.5349

ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს დამკვეთთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- დამკვეთთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფიქსირებული და ცვლადი ხელფასის, ბონუსის და სხვა არაფულადი სარგებლის ხარჯის დარიცხვას კომპანია ახორციელებს იმ საანგარიშგებო პეიროდში, რომელშიც თანამშრომელმა კომპანიას მოცემული სერვისი მიაწოდა.

დაბეგვრა

ა) მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან:

- აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება
- წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას
- გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში (აღნიშნული ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით)
- ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაცემული სესხები და სხვა.

მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

ბ) გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა - გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და საჭიროებისამებრ, გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას. ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	4
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	4

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გასაყიდად გამიზნული აქტივები

აქტივები, რომელიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა მათი კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, უნდა ფასდებოდეს საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით და ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწარმო გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) მიანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. ამისათვის, შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს.

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადასამ თვემდეა. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე

ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული", „ფსწე"), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე"-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება წლების განმავლობაში დაგროვილი მოგებისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში.
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის დრომდე, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.